IV თავი

სტუდენტის სწავლის საფასურთან დაკავშირებული შეღავათები და დაფინანსება ბსუ-ს ბიუჯეტიდან

ბსუ-ში სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესით" (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 3**).

ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდისაგან, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საფასურის ფარგლებში, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით **თავისუფლდებიან მშობლების მზრუნველობას მოკლებული** (დედ-მამით ობოლი ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად/გარდაცვლილად აღიარებული მშობლების შვილები) მხოლოდ **უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები.** ბრძანება გამოიცემა სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა, სტუდენტის განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში.

სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული შეღავათები, გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევისა, ბსუ-ს სტუდენტთათვის შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ **სპეციალური სოციალური პროგრამის ფარგლებში** ან/და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით. სპეციალურ სოციალურ პროგრამას (დაფინანსების/შეღავათების სახეებს, პირობებს, სტუდენტთა კატეგორიასა და განხორციელების წესს) შეიმუშავებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობითი საბჭოს.

ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული **შეღავათები ასევე ვრცელდება სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების წევრებზე** (მეუღლე, შვილი). სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების წევრების განათლების ხელშეწყობის მიზნით, ბსუ-ს აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (საბაკალავრო/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო/სამედიცინო მიმართულებით ერთსაფეხურიან აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე) **სწავლის თანადაფინანსება** (ბსუ-ში გადასახდელი სწავლის სემესტრული საფასურის 50 %-ის ფარგლებში) ხორციელდება ამ კატეგორიის სტუდენტის მიერ პირველ სემესტრში, მის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის (დაბადების მოწმობა, ქორწინების სარეგისტრაციო მოწმობა, ცნობა დასაქმების ადგილიდან და სხვა) საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით. მომდევნო სემესტრში აღნიშნული ოდენობით თანადაფინანსების შესახებ

სამართლებრივი აქტი გამოიცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, თუკი სტუდენტს წინა სემესტრში, თითოეულ სასწავლო კურსში მიღებული აქვს შეფასებები - არანაკლებ 81 და მეტი ქულა. სტუდენტი არ დაფინანსდება დამატებით სემესტრში ან ე,წ. კურსის გავლის საჭიროების შემთხვევაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) *(შევიდა დამატება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 24 ივლისის N 07-01\83 გადაწყვეტილებით).*

სასწავლო/სამეცნიერო მიზნით ბსუ-ს სტუდენტის უცხო ქვეყანაში კონფერენ-ციაზე/სემინარზე/კონგრესზე დასწრების (მონაწილეობის) ნაწილობრივი დაფინანსების შესახებ სტუდენტის განცხადებას განიხილავს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო, რომლის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანი სამსახურებრივი ბარათით მიმართავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. ბრძანება გამოიცემა, თუკი სტუდენტების დაფინანსების ხარჯი ერთი სემესტრის განმავლობაში არ აღემატება შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტთა მიერ წინა სემესტრში გადახდილი სწავლის საფასურის საერთო რაოდენობის 1 (ერთ) %-ს, ამასთან, ერთი სტუდენტის დაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს 1000 (ათას) ლარს.